



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: ოპ31. 3122307001

თარიღი: 03/11/2022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი N15

ქ. ლანჩხუთი

26. 10. 2022 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვიციანი და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიციანი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ეკა მეგრელიშვილი.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ ბოლქვაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ შემოვიდა ერთი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ნუგზარ ბოლქვაძე/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ნუგზარ ბოლქვაძე/

7. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი.

მომხრე საკრებულოს 22 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან

განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა“ (პროგრამის კოდი: 06 02 23 პროგრამის ბიუჯეტი 51600 ლარი) და „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა“ (პროგრამის კოდი: 06 02 17 პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 40000 ლარს. ადრეული განვითარების პროგრამის ტრანსპორტირებისთვის ვალდებულება ადებულია 6000 ლარზე, რეაბილიტაცია აბილიტაციის ტრანსპორტირებისთვის გახარჯულია 24230 ლარი და დარჩენილია 9770 ლარი. მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის მიერ გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების რაოდენობის შესახებ, რომლებიც საჭიროებენ „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით სარგებლობას. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით 1 ბავშვი საჭიროებს „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ სარგებლობას. ხოლო 3 აღსაზრდელი „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით სარგებლობას.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ელისო ჭიჭინაძე.

ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს შშმ ბავშვების განვითარების ხელშეწყობას.“ ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიძებნოს ფინანსური რესურსი სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვებისთვის მათი ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. საჭიროა ზემოაღნიშნულ ორივე პროგრამაში როგორც პროგრამულ ბიუჯეტში ასევე სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში მიეთითოს შენიშვნის სახით ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებზე არ გავრცელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ვალდებულების ჩანაწერი. „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით“ სარგებლობისთვის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების მობილიზება საჭირო არ იქნება და იგი განხორციელდება არსებული რესურსის ფარგლებში. ხოლო 3 ბავშვის ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსებისთვის „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამაში საჭირო იქნება დამატებით ბიუჯეტში 3000 ლარის დამატება. დღეის მდგომარეობით ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა 21- მდე გაიზარდა რის გამოც წლის ბოლომდე პროგრამაში საჭირო იქნება დაახლოებით 10000 (ათი ათასი) ლარის დამატება პლუს 3000 ლარის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებული ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირებისათვის. ჯამში „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამაში 13000 ლარის დამატება იქნება საჭირო.

საკრებულოს წევრის **ჯუმბერ ბლაგიძის** განცხადებით, დღევანდელ სხდომაზე წარმოდგენილ პროექტებს ეთანხმებიან და მხარს უჭერენ, რადგან გარკვეული საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის. ამასთან, ფრაქციის „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეტალურად განიხილეს და მოიწონეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ პროექტი, თუმცა მათი თხოვნაა, მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ამ მიმართულებით თანხის მომატება. გარდა ამისა, მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, რომ მათი მხრიდან რამდენჯერმე მიმართვის შემდეგ გამოჩნაბა დრო და დაესწრო ფრაქციის სხდომას. საკრებულოს წევრმა იმედი გამოთქვა, რომ მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერი შესაძლებლობიდან გამომდინარე, დაესწრება ფრაქციის სხდომებს, რათა ერთობლივად მოხდეს სხვადასხვა საკითხების განხილვა.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N34 (26.10.2022)**

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშნიამ**. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 აგვისტოს N1456 განკარგულებით შევიდა ცვლილება (16.08.2021) წლის N1419 განკარგულებაში, ცვლილების შედეგად სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისათვის (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულის მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა) გამოყოფილი თანხა შემცირდა 18062 ლარით, მათ შორის ცენტრალური დაფინანსება 17881 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 181 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 24 აგვისტოს N1534 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში. ცვლილების შედეგად ქ.ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია შემცირდა 14781 ლარით. მათ შორის ცენტრალური დაფინანსება 14042 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 739 ლარით. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა გაიზარდა 169728,14 ლარით.

შემოსული მოთხოვნების განხილვის შედეგად: ააიპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსება გაიზარდა 11872 ლარით, ააიპ სპორტული ცენტრის დაფინანსება 24640 ლარით, ააიპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება 50000 ლარით, სარეზერვო ფონდი 10000 ლარით, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯი 5000 ლარით, საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯი 5000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა 90000 ლარით, მოსწავლეთა ტრანსპორტირება 5000 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა 10000 ლარით, ხოლო ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების პროგრამა გაიზარდა 13000 ლარით, ბიკარბონატული ჰემოდიალევით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯის 8000 ლარით და მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე. სპორტის ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების მუხლის 2000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 2000 ლარით.

მომსახურების გაწევიდან შემოსავლების ფაქტიური დინამიკის გათვალისწინებით გეგმა შემცირდეს 20000 ლარით და განისაზღვროს 30000 ლარით. შემოსავლის შემცირებისა და გაზრდილი ხარჯების დაბალანსების მიზნით გაიზარდოს სანებართვო მოსაკრებლის გეგმა 10500 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების 150000 ლარით, ასევე ხარჯების დაბალანსების უზრუნველყოფის მიზნით ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან მიიმართოს 70092 ლარი.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, **კახაბერ ასკურავას** განცხადებით, ბიუჯეტში წარმოდგენილ ცვლილებებში არის გარკვეული საკითხები, რომელთაც ეთანხმებიან და ხმას მისცემდნენ, მუხლობრივად ცალკ-ცალკე რომ შემოდიოდეს. საერთო ჯამში, წარმოდგენილ პროექტს ფრაქცია მხარს ვერ დაუჭერს გარკვეული მიზეზების გამო. კერძოდ, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებამ შემოიტანა მოთხოვნა დაფინანსების 50000 ლარით მატებასთან დაკავშირებით. ფრაქციის სხდომაზე მოწვეული ჰყავდათ აღნიშნული ა(ა)იპ-ის ბუღალტერი, რომლის განმარტებით

20000 ლარი სჭირდებათ საახალწლო ღონისძიებების ორგანიზებისთვის, 15500 ლარი არის 10%-იანი ხელფასის მატების ფონდის ხარჯი და 3500 ლარი პროექტორის შესაძენად. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის თქმით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას ახლა არ უნდა ახსენდებოდეს, რომ თანხა სჭირდება საახალწლო ღონისძიების გასამართად. გარდა ამისა, ფრაქციამ თხოვა მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსს, მამუკა ვადაჭკორიას გაერკვია პროექტორის საკითხი. აღმოჩნდა, რომ 2014 წელს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა კულტურის ცენტრს საჩუქრად გადასცა აღნიშნული პროექტორი, არადა ბუღალტერის განმარტებით, თანხა ესაჭიროებოდათ ახლის შესაძენად. საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ასევე შეეხო ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში ხელფასების საკითხს და აღნიშნა, რომ კულტურის ცენტრის ბუღალტერის განმარტებით, ეს მოთხოვნა განპირობებულია იმით, რომ თანამშრომლებზე 10 %-ით მომატებული ხელფასების გაცემა დაიწყო ივნისის თვიდან. გარდა ამისა, დეპუტატის თქმით, ამ ბიუჯეტის წყარო არის ობიექტების ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი, რაც ნიშნავს, რომ ასეთი ინფრასტრუქტურული პროექტები არ არის სათანადო ხარისხით შესრულებული.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ხელფასების 10 %-იანი მატება განხორციელდა ყველა სამსახურში, ხოლო ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში ეს არ მომხდარა რეორგანიზაციის დასრულებამდე. იყო მოთხოვნა და აღნიშნულ ა(ა)იპ-ში ივნისის თვიდან დაიწყო გაზრდილი ხელფასების გაცემა. ასევე, საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებით ნამდვილად იყო გამოყოფილი 20000 ლარი, მაგრამ თბილისობის ღონისძიებაზე გაშვებული იქნა ადგილობრივი წარმომადგენლები. გარდა ამისა, ბავშვები გასტროლებზე წავიდნენ უცხოეთში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ა(ა)იპ-ის დაფინანსების შესავსებად ესაჭიროება გარკვეული თანხის დამატება, თორემ ძირითადი მოთხოვნა არის 10 %-იანი ხელფასების ზრდა დაახლოებით 41000 ლარის ფარგლებში. რაც შეეხება პროექტორს, ძალიან კარგია, რომ გაირკვა სიტუაცია, რადგან 2018 წელს მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაკეთებულ ინვენტარიზაციის ჩამონათვალში არ ირიცხებოდა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ინახებოდა ერთ-ერთ თანამშრომელთან, მაგრამ არის დაზიანებული. შესაბამისად, თანხა არ დაიხარჯება, არამედ მიზნობრივად სხვა კუთხით მოხდება მისი ათვისება, თუკი მოითხოვს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ან დარჩება ანგარიშზე. რაც შეეხება, იმას, რომ საახალწლო ღონისძიებების დაფინანსებაში ჩადებულია 20000 ლარი, ფრაქციის მოსაზრებას ვერ დაეთანხმება, რადგან გამოდის, რომ არ აქვთ სათანადო ინფორმაცია. ამიტომ, იქნებ მსგავს სიტუაციაში საკრებულოს ფრაქციებს მიეწოდოს ინფორმაცია ჩაშლილი სახით იმასთან დაკავშირებით, კონკრეტულად რომელი მიმართულებით რა ოდენობის თანხები მიიმართება.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, ზოგადად რა ოდენობის თანხაა გათვალისწინებული საახალწლო ღონისძიებებზე მთლიანად მუნიციპალიტეტში, რადგან ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა 20000 ლარი, მაშინ როცა სხვის მოთხოვნას შეიძლება უარი ეთქვას. ამასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ამ კუთხით გათვალისწინებულია 50000 ლარი. ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მიერ არ არის მოთხოვნილი 20000 ლარი, რადგან ამ თანხიდან გაუთვალისწინებელ ღონისძიებებზე განარჯულია დაახლოებით 7-8000 ლარი. ხდება დაფინანსების შევსება. ზოგადად, მოთხოვნილი თანხის ძირითადი წილი არის სახელფასო ფონდთან დაკავშირებით. ამასთან, ცვლილება არ შეეხება მუხლიდან მუხლში თანხის მონაცვლეობას, არამედ, კონკრეტულად ღონისძიებების დაფინანსების მუხლში ერთი ღონისძიების თანხა მოხმარდება სხვა ღონისძიებას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი. მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 4 წევრი(კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე). მიღებულ იქნა დადგენილება N35 (26.10.2022).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა ა(ა)იპ რუდუნის“ დამფუძნებელმა სოფიო ჩხაიძემ, რომელმაც აღნიშნა რომ აიპი არ საჭიროებს მის სარგებლობაში არსებულ მუნიციპალურ ქონებას (ს/კ 27.06.51.005 01/216) და სურვილი აქვს გაუქმდეს ა(ა)იპ „რუდუნისთვის“ მინიჭებული ქონების სარგებლობის უფლება. შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილია წინადადება - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის N6 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე განცხადებით მომართა ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიას“ (ს/ნ 433652843) წარმომადგენელმა ირმა გრძელიძემ, რომელმაც მისი ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ითხოვა „რუდუნის“ მიერ გათავისუფლებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქ. N126 - ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობის (ს/კ 27.06.51.005 01/216) მესამე სართულზე მდებარე 43.90 კვ.მ. N216 ოთახი.) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიას“, რომ დაწესებულებამ შესძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, რომ კანონის მიხედვით აქვთ თუ არა უფლება ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას გადაეცეს ფართი გადასახადის გარეშე, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ კონკრეტული ფართი მუნიციპალიტეტმა გადასცა არასამთავრობო ორგანიზაციას „რუდუნი“, რომელმაც არ მოახდინა ამ ფართის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამასთან, მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდნენ თხოვნით, რომ კონკრეტული ფართი გადასცემოდა ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიას“, რომლის საქმიანობა მიმართულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადამიანების საკეთილდღეოდ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ „ონკოქეა ჯორჯიას“, რომ დაწესებულებამ შეძლოს მისთვის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N55 (26.10.2022)**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს მომართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი დუგლაძემ 2022 წლის 4 ოქტომბრის N5/55066 წერილით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი (ს/კ 27.08.46.002. 01/500), (ს/კ 27.09.46.013. 01/500) და ძირითადი (განუსხვისებელი) (ს/კ 27.01.42.015. 01/503) კატეგორიის უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასაცემად, შემდგომში აღნიშნული ქონების ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება - სახელმწიფოს გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის განმარტებით, კი სახელმწიფოს მიერ გადასაცემად მოთხოვნილ ძირითადი კატეგორიის ქონებას (ს/კ 27.01.42.015. 01/503) აღარ ააქვს ძირითადი ქონების სტატუსი, ის არ გამოიყენება მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილების განსახორციელებლად, რის გამოც სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევა აღნიშნული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემას.

სამსახურის თხოვნაა, წარმოდგენილი პროექტის განხილვა მოხდეს უმოკლეს პერიოდში, საკრებულოს მომდევნო სხდომაზე და მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილება, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საკრებულომ, სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის წარმოდგენიდან 45 დღის განმავლობაში არ მიიღო გადაწყვეტილება, მაშინ მოთხოვნილი ქონება (დამატებითი კატეგორიის) სახელმწიფოსათვის გადაცემულ ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფო ქონებად დარეგისტრირდება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N56 (26.10.2022)**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2022 წლის 21 სექტემბრის N10/302226440-30 წერილით, მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ (ს/კ 433649359) დირექტორმა დიტო მარშანიშვილმა, რომელმაც „სპორტული მუზეუმის“ მოსაწყობად, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N37 - ში მდებარე შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) პირველ სართულზე მდებარე: N19 - 21,06 კვ.მ; N28 - 36,99 კვ.მ; N29 - 10,09 კვ.მ. და N30 - 21,03 კვ.მ. ოთახები. (საერთო ფართით 89,17 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და

წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N57 (26.10.2022)**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სსდომას წარუდგინა მერიის სამსახურის **ნუგზარ ბოლქვაძემ**, რომლის განმარტებითაც საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა. კერძოდ, ჟორდანიას ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკების ადაპტირება შშმ პირებზე. პროექტის საგარაუდო ღირებულება შეადგენს 51257 ლარს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N58 (26.10.2022)**

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით წამოაყენა ინიციატივა, რომელიც ასევე, პარტია „საქართველოსთვის“ მიერ შეტანილია საქართველოს პარლამენტში და მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბიუჯეტის ქვედა ზღვარი-3 % მოხმარდეს მოსახლეობის მხრიდან წამოსული პროექტების დაფინანსებას.

საკრებულოს წევრი **ირმა მგელაძე** პირველ რიგში შეეხო ქალაქში შენობების ფასადების მოხატვას და აღნიშნა, რომ ეს რალაც ახალია და დადებითი მუხტს ატარებს. მისი აზრით, კარგი იქნებოდა, ეს გაეთვალისწინებინათ და ქალაქის ცენტრში რეაბილიტირებული კორპუსები ნაცრისფერ და უსახურ ფერში არ გადაეღებათ. ამის შემდეგ მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ როდესაც ა(ა)იპ-ებს მიმართეს მოეწოდებინათ მათთან დასაქმებული ადამიანების სია, მათი მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია არ იყო სრულყოფილი, რადგან სახელი და გვარი შეიფუთა, როგორც პერსონალური ინფორმაცია. მას აინტერესებს, რომ არჩეულ დეპუტატს, რომელიც ანგარიშვალდებულია ხალხის წინაშე, როგორ შეუძლია განახორციელოს ეფექტური კონტროლი კონკრეტულ ა(ა)იპ-ზე, რაც გაწერილია კანონსა და რეგლამენტში, როცა არ იცის, ვინ არის იქ დასაქმებული. კონკრეტულად ეს ეხება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს. გარდა ამისა, პრობლემატური საკითხია მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი, რადგან საღამოს 4 საათის შემდეგ ისინი აღარ გადაადგილდებიან. ეს საკითხი უნდა მოგვარდეს და ტრანსპორტმა იმოძრაოს 6-7 საათამდე.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, თანამშრომლების რაოდენობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება პრობლემა არ არის, მაგრამ რაც შეეხება პირად ნომრებს, ეს პერსონალური ინფორმაციაა და ამას ნამდვილად ვერ მიაწვდიდნენ.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** ასევე განმარტა, რომ ეს არ ითვლება საჯარო დაწესებულებად, ამიტომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, სახელი და გვარი არის პირადი ინფორმაცია და პიროვნების თანხმობის გარეშე მისი გაცემა არ შეიძლება.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, **კახაბერ ასკურავას** განცხადებით, დეპუტატს აქვს უფლება მსგავსი ინფორმაცია მოიპოვოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას გაავრცელებს საჯარო სივრცეში ან გამოიყენებს

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ სურვილი აქვთ, მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდეს კრივის წრე. ადამიანებმა, რომლებიც მოღვაწეობდნენ პროფესიულ კრივში, არიან საქართველოს ჩემპიონები და ასევე, მიაღწიეს ამ სფეროში სერიოზულ წარმატებებს, როგორც მსაჯებმა, გამოთქვეს მზაობა, იმუშაონ მწვრთნელებად. მან შესთავაზა კოლეგებს, შეხვდნენ ამ პიროვნებებს, რათა მოილაპარაკონ დეტალებზე.

საკრებულოს წევრი რევაზ **კვერენჩილაძე** მიესალმა ამ იდეას და აღნიშნა, რომ არის ყოფილი მოკრივე და ასეთი წრის გახსნა დააინტერესებს და ძალიან კარგი იქნება მომავალი თაობისთვის.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ლესაში მოგვარდა წყლის მიწოდების საკითხი, მაგრამ გარკვეულ უბნებში არის ტექნიკური წყალი. კარგი იქნება, გამოინახოს საშუალება და მოხდეს ფილტრების დაყენება, რაც ამ პრობლემას მოაგვარებს. გარდა ამისა, ფოცხვერეთის უბანში წლების წინ ძალიან დაზიანდა გზა, ამიტომ სკოლის მიკროავტობუსი სარგებლობს შემოვლითი გზით, რის გამოც მანძილი გაუგრძელდა 2 კმ-ით. საკრებულოს წევრმა მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ შემოსულია განცხადება იმის თაობაზე, რომ მიკროავტობუსის მძღოლს ესაჭიროება დამატებით ხარჯებთან დაკავშირებით დახმარება. მან ასევე აღნიშნა, რომ ლესაში უკრაინელმა შეიძინა ოჯახი ლეისწყლის ადგილზე. ეს პიროვნება მოსული იყო დახმარების სათხოვნელად, რადგან მიმდებარე ტერიტორია ძალიან დაზიანებულია და საჭიროა გაბიონების ჩაწყობა. ამის შემდეგ საკრებულოს წევრი შეეხო სოფლის მხარდაჭერის პროგრამას და აღნიშნა, რომ დღემდე ამ პროგრამის ფარგლებში ხდება წლების წინ გათვალისწინებული თანხის გადახდა, რაც შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე აღარ არის საკმარისი ამა თუ იმ პროექტის განსახორციელებლად, რადგან ამ თანხით იმის ნახევარიც ვერ კეთდება, რაც წლების წინ. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ თუკი ეს შესაძლებელია, მიაწოდონ წინადადება შესაბამის სტრუქტურებს, რათა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოხდეს თანხის შესაბამისად გაზრდა. გარდა ამისა, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ ჯურუყვეთში კეთდება წყლის მიწოდების სისტემა და მიმდინარეობს გაზიფიცირების პროცესი, რასთან დაკავშირებითაც მუნიციპალიტეტის მერს გადაუხადა მადლობა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ მისი დახმარება და ჩართულობა ესაჭიროებათ მაგთის ანძასთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრი ასევე შეეხო ერთ საკითხს. კერძოდ, ჯურუყვეთის მკვიდრ, ედგარ თავდგირიძეს, რომელსაც ყავს ოთხი მცირეწლოვანი შვილი, დაწყებული აქვს სახლის მშენებლობა, რასაც უსახსრობის გამო ვეღარ აგრძელებს. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მესვეურთ, რომ სახურავი გაუგზავნეს, მაგრამ ამასთან, თუ შესაძლებელია, უშუალოდ მომლონ შესაბამის სტრუქტურებთან, რათა ამ ადამიანს გაეწიოს ფინანსური დახმარება ან სახლის გადასახურად გადაეცეს ხის მასალა.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ფილტრების თაობაზე ქონდა საუბარი შესაბამის სამსახურთან. ეს არ არის დიდ თანხებთან დაკავშირებული და გააკეთებენ. რაც შეეხება ნაპირსამაგრი გაბიონების კეთილმოწყობას, ამასთან დაკავშირებით შეხვდა მერის წარმომადგენლებს. თითოეული სოფლის მიხედვით, სადაც სტიქიიდან გამომდინარე არის გადაუდებელი აუცილებლობა, წერილობითი ინფორმაცია მიეწოდა მთავრობას. პირადად იმყოფებოდა იმ უბანში, რომელზეც ისაუბრა საკრებულოს წევრმა. იქ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ცენტრალურ გზასაც საფრთხე ექმნება. გამზადდება პროექტები და გადაეგზავნება შესაბამის უწყებებს. ანძასთან მიმართებაში, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ მუშაობენ მაგთიკომთან. კომპანიის წარმომადგენლები იყვნენ ადგილზე და დაათვალიერეს მიწის ნაკვეთები. როგორც ამბობენ, უახლოეს ორ თვეში დაიდგმება ეს ანძები. გარდა ამისა, მაგთიკომს წერილობით მიმართეს არჩეულის მონაკვეთის, ჯურუყვეთის, ჭინათის და ნინოშვილის შესახებ. თუკი მსგავსი პრობლემა არის, შეუძლიათ მოსახლეობის თხოვნიდან გამომდინარე, დამატებით კიდევ მიმართონ. რაც შეეხება ედგარ თავდგირიძეს, მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში უკვე გაეწია სათანადო დახმარება და თუ საჭიროება მოითხოვს, ისევ დაეხმარებიან, იმის გათვალისწინებით, რისი საშუალებაც ფიზიკურად ექნება მუნიციპალიტეტს. მუნიციპალურ ტრანსპორტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს მართლაც პრობლემატური თემაა. ჰქონდათ მოსაზრება რამდენიმე ავტობუსის განვადებით შეძენის თაობაზე, მაგრამ ამ ეტაპისთვის მათი ღირებულება მოსალოდნელზე გაცილებით ძვირი აღმოჩნდა, რასაც მუნიციპალიტეტი ნამდვილად ვერ გასწვდებოდა. მოთხოვნის საფუძველზე დილის საათებში გარკვეულ წილად დარეგულირდა ტრანსპორტის გადაადგილების განრიგი. რაც შეეხება კონკრეტულ სიტუაციას სალამოს საათებთან მიმართებაში, ამის შესახებ ნამდვილად არავის არ მოუმართავს. შეიძლება ამ საკითხთან დაკავშირებით გასაუბრება შესაბამის შპს-თან.

საკრებულოს წევრის **ირმა მგელაძის** განცხადებით, ჯურუყვეთში არ არის საკმარისი ოდენობის ნაგვის ურნა.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, მხოლოდ გასულ წელს ჩამოვიდა ოთხასი ურნა,

რომელიც მაქსიმალურად ვადანაწილდა სოფლებში. გარდა ამისა, იმ უბნებში, სადაც ურნები არ დგას, კვირაში რამდენიმეჯერ დადის ორი მანქანა. ამ მხრივ სიტუაცია უმჯობესდება და ბევრად უკეთესია, ვიდრე გასულ წელს იყო.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში კვლავ პრობლემატურია სანიაღვრე არხების კეთილმოწყობის საკითხი. ასევე, შაკო ორმოცაძის უბანში ორი მიმართულებით და ჯაპანაში-ბერიძეების უბანში სტიქიის შედეგად ძალიან დაზიანებულია გზა.

მუნიციპალიტეტის მერმის განმარტებით, რაზვც საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, იმასთან დაკავშირებით პროექტი გამზადებული და გადაცემულია. გარდა ამისა, ბოლო სტიქიებთან დაკავშირებით, დაახლოებით 1200000 ლარის ფარგლებში, პროექტები ასევე გამზადებული და გადაცემულია მთავრობაში. მისი თქმით, არიან მოლოდინის რეჟიმში, რომ სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში მოხდეს მათი დაფინანსება.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გოჩა ჯანაშიამ** აღნიშნა, რომ ასევე მოსაწესრიგებელია სოფელ ქვიანში დაახლოებით 200 მეტრ სიგრძის სანიაღვრე არხი, რომელიც რკინიგზასთან უნდა შეუერთდეს ძირითად საწრეტ არხს. გარდა ამისა, სანიაღვრე არხები არ არსებობს რკინიგზის პირა ქუჩაზე. აგრეთვე, ვალერი მშვიდლობაძე წლების განმავლობაში ითხოვს 300 მეტრამდე სიგრძის სანიაღვრე არხის მოწყობას, რადგან ეზოს წინ რკინიგზის დეპარტამენტის მიერ მოხდა ელექტრო სადენის გაყვანა, რის შემდეგაც ყოველი წვიმის დროს იტბორება მისი კარმიდამო. გარდა ამისა, თვეების განმავლობაში ოთხ სოფელში პრობლემებია ინტერნეტით და მობილური კავშირით სარგებლობასთან დაკავშირებით და მოსახლეობა ითხოვს ამ მხრივ დახმარებას.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ კომპანიის ხელმძღვანელობასთან აუცილებლად დასვამს ამ საკითხს, მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნიგოთის მოსახლეობის პროტესტის გამო ანძის დამონტაჟება შეჩერდა. გარდა ამისა, ყველა სოფელში დგას სანიაღვრე არხის და გზების პრობლემა, ისინი უნდა დალაგდეს პრიორიტეტების მიხედვით, რადგან რგფ-დან და მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსება, პირველ რიგში გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, უნდა მიიმართოს ისეთი სიტუაციებისკენ, რომელიც უფრო პრიორიტეტულია და ყველაზე მეტად აზიანებს მოსახლეობას.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გარლო კვიციანი** შეეხო ტრანსპორტის მოძრაობის საკითხს და აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარესთან და შპს-ს უფროსთან ჰქონდათ საუბარი. სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში დადგინდება სალამოს საათებში ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ საფო მგელაძის ქუჩაზე ხიდი, რომლითაც სარგებლობს სატვირთო ავტომობილები, არის ცუდ მდგომარეობაში. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ თუ შესაძლებელია მოხდეს აღნიშნული ხიდის მდგრადობის შეფასება. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, როდის იგეგმება ქალაქის ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაშვებული ხარვეზის გამოსწორება. მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ გარკვეულ მონაკვეთებზე ხარვეზი აღმოფხვრილია, მაგრამ რამდენიმე ადგილას სიტუაცია კვლავ გამოსასწორებელია. ამის თაობაზე საუბარი ქონდათ მუნიციპალური განვითარების ფონდთან და პრემიერ მინისტრის ადმინისტრაციასთან. რამდენიმე დღეში ჩამოვლენ კომპანიის წარმომადგენლები ან საერთოდ გაუწყვეტენ კომპანიას ხელშეკრულება. ეტაპობრივად ყველა ხარვეზი იქნება გამოსწორებული.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** მოჭიდავე გიორგი შოთაძეს მიულოცა ვიცე ჩემპიონობა და უსურვა შემდეგი წარმატებები. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ სოფელ ჩოჩხათის მკვიდრ ზაურ კვაჭაძის სახლს ძლიერმა ქარმა ახადა სახურავი. არის მარტოხელა და სასწრაფოდ ესაჭიროება დახმარება. ასევე, აღნიშნა, რომ სუფსაში გაიხსნა იუსტიციის სახლი, რაც ნამდვილად მისასალმებელია. თავის დროზე ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართეს იუსტიციის სამინისტროს. იქნებ, იგივე თხოვნით მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ მიმართონ შესაბამის სამინისტროს ზედა ზონასთან -აცანა, მამათი და აკეთთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, იუსტიციის მინისტრთან ქონდა ამ საკითხზე საუბარი და შესაბამისად, წერილსაც გადააგზავნიან.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 ოქტომბერი 2022 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11:05	
2	ემზარ თევდორაძე	12:00	
3	ვერიკო კვიციანი	12:00	
4	გიორგი ჩახვაძე	12:00	
5	გიორგი ხელაძე	11:50	
6	ალექსანდრე მახათაძე		
7	ზაზა წულაძე	11:50	
8	კარლო კვიციანი	11:55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11:58	
10	ია მოქია	11:45	
11	კახაბერ ასკურავა	11:45	
12	მაკა მშვიდლობაძე	11:40	
13	ვლადიმერ ნანაძე	11:55	
14	კარლო წილოსანი	11:55	
15	ლოლიტა ურუშაძე	11:55	
16	ნინო მშვიდლობაძე	11:58	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-57	
19	გიორგი გოგუაძე	11:00	
20	გოჩა ჯანაშია	11:50	
21	ელისო ჭიჭინაძე	11:50	
22	რევაზ კვერენჩილაძე	11:00	
23	კახა თევდორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე		
25	ირმა მგელაძე	11:55	მ. მ.
26	გივი ცინცაძე	11:55	მ. მ.
27	ჯუმბერ ზღაგინე	11:40	მ. მ.